განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მცირე ბიზნესის მართვა

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
13-15 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

22.11.18

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	220407888
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მცირე ბიზნესის მართვა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრი 020326
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა კასრაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა კიკნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ქარცივაძე,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმისნიტრირების სამაგისტროპროგრამის მიზანია მოამზადოს მცირე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კადრები, საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ მცირე ბიზნესის მართვის ღრმა და სისტემური ცოდნა, ახალი იდეების შემუშავების, ცალკეული პრობლემების გადაჭრისათვის ორიგინალური გზების დასახვის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო სასწავლო პროგრამის სასწავლო კომპონენტები შემდეგნაირად არის განაწილებული: 62 კრედიტი - საავლდებულო სასწავლო კურსები; არჩევითი საგნები - 28 კრედიტი. საწარმოო პრაქტიკა - 5 კრედიტი. კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო 25 კრედიტი.

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების ფარგლებში გასავლელი 62 კრედიტი, რომელიც წარმოდგენილია ცალკეული სასწავლო კურსების სახით, ძირითადად ორიენტირებულია საგანმანათლბელო პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნა გაცნობიერებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ფარგლებში გაწერილი მისაღწევი ცოდნისა და უნარების სტუდენტისთვის გადაცემაზე. აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტი იძენს სწავლისა და დასკვნის უნარებისთვის, კომუნიკაციისა და ღირებულებების ფორმირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა, რომელიც ადასტურებს სტუდენტის კვლევით კომპეტენციებს

პროგრამის მიხედვით დასაქმების სფეროებად განისაზღვრა მცირე ბიზნესში, კერძო სექტორში მართვის სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროში წამყვან მენეჯერულ პოზიციებზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 13, 14 და 15 სექტემბერს. ვიზიტამდე, 12 სექტემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (დავით სიხარულიძე, თეა კასრაძე, დავით ქარცივაძე და ნიკა კიკნაველიძე) 15:00 საათზე და 17:00 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

13 სექტემებრს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 16:00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (რექტორი, დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით

კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მცირე ბიზნესის მართვის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად არის შეფასებული: კერძოდ, პირველი სტანდარტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, მეორე სტანდარტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს, მესამე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს. მეოთხე სტანდარტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს. მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

- რეკომენდირებულია გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის პროცესი, როგორც აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში მონაწილეობის კუთხით, ასევე სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართულობის კუთხით.
- რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შემუშავება.
- რეკომენდირებულია პროგრამის სტრუქტურაში ან სასწავლო კურსების ფარგლებში მეტად იქნას გათვალისწინებული მცირე ბიზნესის თავისებურება და სპეციფიკა.
- რეკომენდებულია განახლდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა.
- რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის მოდიფიკაცია.
- რეკომენდირებულია გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.
- რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის სამაგისტრო დებულებასთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომი რელევანტური იყოს ბიზნესის ადმინისტრირების მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამასთან; ხელმძღვანელს ქონდეს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული კვლევის გამოცდილება;
- რეკომენდირებულია პროგრამის მუდმივად დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით გაძლიერდეს დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა ,,ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შექმნას სტუდენტის, პერსონალის, სხვა დაინტერესებული პირის კმაყოფილებაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო და დასაქმების გარემო, დასაქმებაზე, სწავლისა და კვლევის ინტეგრირებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები, კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი პროექტები, მოკლევადიანი მომზადება/ გადამზადების კურსები“. უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარეობს მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამის მიზანი: ,,მოამზადოს მცირე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კადრები, საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ მცირე ბიზნესის მართვის ღრმა და სისტემური ცოდნა, ახალი იდეების შემუშავების, ცალკეული პრობლემების გადაჭრისათვის ორიგინალური გზების დასახვის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი“. მისია ფართოდ არის განსაზღვრული და გულისხმობს საგანმანათლებლო და კვლევითი სივრცეში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვას. პროგრამის მიზანი, რომელიც ფოკუსირებულია მცირე ბიზნესის მიმართულებით ღრმა და სისტემური ცოდნის შეთავაზებას, შეესაბამება მისიას. მიზანი რეალურია. ამის შეფასების საშუალებას გვაძლევს ორგანიზაციის რესურსები (ადამიანური და ფიზიკური) და ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა. **(ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით).** ბიზნესის ადმინისტრირების მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრი პროგრამა ფოკუსირებულია მცირე ბიზნესის მიმართულებით. პროგრამის ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ პროგრამის შემუშავება და დანერგვა ნაკარნახევი იყო რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასევე სახელმწიფოს პოლიტიკით, რომლის პრიორიტეტია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. ამას გარდა, პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა შრომის ბაზრის კვლევა. კვლევა ჩატარდა ზუგდიდის წალენჯიხის ხობისა და სენაკის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ იქნა 75 ორგანიზაციის მენეჯმენტი. გამოკითხვაში მონაწილეოდბნენ აუდიტორული კომპანიები, ბანკები და სასტუმროები. კვლევის შედეგები გათვალისწინებულ იქნა მცირე ბიზნესის მართვის პროგრამის შემუშავებისას. უნივერსიტეტს გააჩნია სტრატეგიული განვითარების გეგმა, სადაც დეტალურად არის გაწერილი უნივერსიტეტის ძლიერი, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. SWOT ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია სტრატეგიული მიზნები და სამოქმედო

გეგმა. სტრატეგიული მიზანი 2-ის მიღწევის ამოცანებს შორის ჩამოყალიბებულია საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა (2.5 ამოცანა). 2.5 ამოცანის ფარგლებში გაწერილია 11 აქტივობა. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის სტრატეგია. ამ ეტაპზე, ბიზნესის ადმისნიტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუსტია, როგორც აკადემიური პერსონალის საერთაშრისო კონფერენციებსა და პროექტებში მონაწილეობა ასევე სტუდენტების მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიზნესის ადმისნიტრირების მცირე ბიზნესის მართვის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა; • სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2024 (აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული); • შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; • ინტერვიუ შდეგები (ადმისნისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის სამსახური).
რეკომენდაციები: • **რეკომენდირებულია გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაციის პროცესი, როგორც აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში მონაწილეობის კუთხით, ასევე სტუდენეტების გაცვლით პროგრამებში ჩართულობის კუთხით.**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
როგორც 1.2 კომპონენტში ავღნიშნეთ მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მცირე ბიზნესის მიმართულებით ღრმა და სისტემური ცოდნის შეთავაზება. ამ მიზნიდან გამომდინარე ფორმულირებულია სწავლის შედეგები. კერძოდ: • აცნობიერებს მცირე ბიზნესის თავისებურებებს, ორგანიზაციული ქცევის გამოწვევებს და შესაძლებლობებს, ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივი ურთიერთობების საკანონმდებლო რეგულირების ნორმებს, ცალკეული სფეროების თავისებურებებს. აცნობიერებს თანამედროვე ბიზნესის სირთულეებსა და მათი დაძლევის გზებს. • ახდენს მცირე ბიზნესის წინაშე არსებული პრობლემის ანალიზს და შეფასებას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში საინვესტიციო პოლიტიკის, მარკეტინგული კვლევისა და სტრატეგიის შემუშავებას, ბიზნეს გარემოს შესაბამისად. • მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრს ექნება დარგთან დაკავშირებული რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე კომპლექსური პრობლემების გადასაწყვეტად დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; ამგვარად, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას და უნარებს მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით. **თუმცა, პროგრამის ფარგლებში არ არის განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სადაც იქნება გაწერილი კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევისათვის თითოეული სასწავლო კურსის წვლილის წონა და სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები.** მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამის მიხედვით კურსდამთავრებულს შეეძლება დაიკავოს კერძო სექტორში ქვედა და საშუალო დონის მენეჯერულ პოზიციები მარკეტინგის, მენეჯმენტის და ფინანსების მიმართულებით, ასევე ჩაერთოს სამეწარმეო საქმიანობაში და გაუძღვეს სხვადასხვა სფეროში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს. მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს ბიზნესის სფეროში და რეგიონში მიმდინარე პროცესების სპეციფიკას. კერძოდ, რეგიონში ფუნქციონირებადი ფირმების უმრავლესობა მცირე ან საშუალო ზომის არის და ადგილობრივი მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მცირე ბიზნესის განვითარება. სასწავლო უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს კვლევას კურსდამთავრებულთა მიერ სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების ტენდენციის გამოსავლენად. დამსაქმებლებთან და

სტუდენტებთან საუბრისას გაირკვა, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი დასაქმებულია. სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია კარიერული მართვის ცენტრი. ამ ცენტრის წარმომადგენელი საუბრისას აღნიშნავდა, რომ ,,მათ გააჩნიათ კარიერული მართვის კურსები. სტუდენტებს უტარებენ ტრენინგებს. მიჰყავთ უშუალოდ ობიექტზე, სადაც ის იღებს ინფორმაციას მოქმედი პროფესიონალებისაგან". გარდა ამისა მონაწილეობენ დასაქმების ფორუმებში. სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმი, კერძოდ, მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისას განხილვებში აქტიურად ჩართულნი იყვნენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლის სტუდენტები, კურსდამთავრებულები "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობის, მისი აქტუალობის დადგენისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. თუმცა, **თუმცა დამსაქმებლებთან საუბრისას გამოვლინდა, რომ ისინი სრულყოფილად არ იყვნენ ჩართულნი პროგრამის სწავლის შედეგების განხილვასა და შემუშავების პროცესში . (იხ. რეკომენდაცია 5.3 კომპონენტში)**
მტკიცებულებები/ინდიკატორები • მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების ანალიზის ანგარიში; • ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან (დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური პერსონალი)
რეკომენდაციები: • **რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შემუშავება.**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა საერთო სამაგისტრო და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები (მ.შ. ტესტირებას უცხო ენაში (ინგლისური) და გასაუბრებას სპეციალობაში) შედეგების საფუძველზე. მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა შეავსოს უცხო ენის (ინგლისური) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ტესტი. პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (საერთაშორისო აღიარებული ორგანიზაციების მიერ გაცემული) ან პირველი საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა გავლილი აქვს უცხო ენაზე (ინგლისური) ტესტირებისგან თავისუფლდება, ან ფლობს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრის მიერ გაცემულ B2 (ან უფრო მაღალი) დონის სერტიფიკატს. საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე, მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. სწავლის მსურველთა უკეთ ინფორმირების მიზნით ყოველწლიურად ტარდება ღია კარის დღეები, იბეჭდება ფლაიერები, სტუდენტებისთვის ეწყობა პრეზენტაციები და ტარდება სხვადასხვა სამოტივაციო ხასიათის ღონისძიებები. სტუდენტებისა და მობილობით სარგებლობის მსურველთათვის უნივერსიტეტის ვებ გვერდზე მუდმივ რეჟიმში მოქმედებაშია შესაბამისი ბანერი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „ბიზნესის ადმინისტრირების მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო პროგრამა; ○ „ბიზნესის ადმინისტრირების მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - http://www.zssu.ge/zssu2/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი

ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ბიზნესის ადმინისტრირების მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბიზნესის მართვის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 120 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:
მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტები შემდეგნაირად არის გაწერილი:

- საავლდებულო სასწავლო კურსების 62 კრედიტი.
- არჩევითი საგნების 28 კრედიტს.
- საწარმოო პრაქტიკის 5 კრედიტი.
- კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო 25 კრედიტი.

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნა გაცნობიერებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ფარგლებში გაწერილი ცოდნისა და უნარების სტუდენტისთვის გადაცემაზე. აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტი იძენს სწავლისა და დასკვნის უნარებისთვის, ღირებულებების ფორმირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. ის შედგება სავალდებულო და არჩევითი კურსებისა და მოდულებისგან. მიუხედავად იმისა,

თუმცა, პროგრამის სტრუქტურასთან გაგვაჩნია მოსაზრება. კერძოდ, გამომდინარე იქიდან რომ პროგრამის მიზანია მოამზადოს მცირე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კადრები შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალი-სტები, რომელთაც ექნებათ მცირე ბიზნესის მართვის ღრმა და სისტემური ცოდნა“... ამ მიზნის მისაღწევად პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსებიდან მხოლოდ სამი სასწავლო კურსი (მცირე ბიზნესის მენეჯმენტი, მარკეტინგი მცირე ბიზნესში, რეკლამა მცირე ბიზნესში) პირდაპირ ემსახურება პროგრამის მიზნის მიღწევას მცირე ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით. თუმცა, დანარჩენი სასწავლო კურსები მეტნაკლებად ითვალისწინებს მცირე ბიზნესი მართვის თავისებურებებს. ამას გარდა, სამაგისტრო ნაშრომების ანალიზისას (დავათვალიერეთ ათამდე სამაგისტრო ნაშრომი) შერჩეული თემები ნაკლებად ეხებოდა მცირე ბიზნესის პრობლემატიკას. სასწავლო კურსების ანალიზისა და ასევე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებისას განვითარდა მოსაზრება, რომ პროგრამა საჭიროებს მცირე ბიზნესის სპეციფიკის გაძლიერებას, ან პროგრამის ფარგლებში ან სასწავლო კურსების ფარგლებში.

ბიზნესის ადმინისტრირების მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. კერძოდ სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი (# 1 დადგენილება) დამტკიცებლია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელწმიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (03.01.2018). წესი მოიცავს შემდეგ ძირითად პარაგრაფებს: ზოგადი დებულება, საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტი, ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა (გეგმა), საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების, შემუშავების, მოდიფიცირების/განვითარების, დამტკიცების და შეჩერების /გაუქმების პროცედურები.

ბიზნესის ადმისნიტრირების მცირე ბიზნესის მართვის საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს თანმიმდევრული გადასვლის პრინციპს მარტივიდან რთულისკენ. პროგრამის შემადგენელი კომპონენტები თანმიმდევრულად, ლოგიკური წინაპირობით არის განლაგებული სემესტრების მიხედვით და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკლავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ ხარისხის სამსახურთან;
- ინტრევიუ დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები);

რეკომენდაციები:

- **რეკომენდირებულია პროგრამის სტრუქტურაში ან სასწვლო კურსების ფარგლებში მეტად იქნას გათვალისწინებული მცირე ბიზნესის თავისებურება და სპეციფიკა**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მცირე ბიზნესის მართვის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. აქედან სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილია 62 კრედიტი. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სილაბუსში მოცემული კომპონენტები იმყოფებიან ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში, რაც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და დამხამრე მასალები შეესაბამება სწავლის შედეგებს. თუმცა, სასწავლ კურსების უმრავლესობაში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულება ხდება სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის დებულების მიხედვით, რომელშიც გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის მიზანი, შედეგები, მეთოდები, სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევის, ხელმძღვანელისა და რეცენზენტის გამოყოფის პროცესი, სამაგისტრო ნაშრომის არქიტექტონიკა და გაფორმების წესი. სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა და შეფასების მექანიზმი. თუმცა, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში კვლევის მეთოდის და კვლევის მეთოდების კომბინაციის გამოყენების აუცილებლობა და მნიშვნელობა კვლევის პროცესში და ასევე კვლევის განხორციელების პროცესი და სტრუქტურა სუსტად იყო წარმოდგენილი, რომლის დახვეწა გაუადვილებს მაგისტრანტებს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების მცირე ბიზნესის ადმისნიტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
- აგასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან.

რეკომენდაციები:

- **რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის მოდიფიკაცია ზემოთ მოყვანილი მოსაზრების მიხედვით.**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან ჩართულნი ადგილობრივი კვლევით პროექტებში. კერძოდ, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ინტერესების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ ოლიმპიადებში, სტუდენტთა დასაქმების ფორუმებში (ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას და ასევე, კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში სტუდენტის ჩართვას), სხვადასხვა კონკურსებში. სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვა სასწავლებლებისა და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში. შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები პროექტების სახით, მოახდინონ მათი საჯარო დაცვა. გარდა ამისა, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი მნიშნელოვანი კომპონენტია პროფესიული პრაქტიკა. ამ კომპონენტის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ სხვადასხვა კერძო თუ საჯარო ორგანიზაციებში გაიარონ სტაჟირება. ამ მხრივ სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი სხვადასხვა ორგანიზაციებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „სტუდენტთა სერვისების და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტი“-ს დებულება; ○ მემორანდუმები/ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან/დამსაქმებლებთან; ○ ინტრევიუ სტუდენტებთან ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის აკადემიური პესონალის მიერ სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემა წარმოებს მეთოდებით: ლექცია/სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა. სწავლების შედეგების მიღწევისთვის, პროფესორის შეხედულებისამებრ და სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე, იყენებს ისეთ მეთოდებს და აქტივობები, როგორიცაა: დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვა. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები და აქტივობები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის და სწავლების მეთოდები და სწავლების მეთოდოლოგიიის გამოყენებით და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სწავლებისთვის საჭირო საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას. კერძოდ ბუღალტრული პროგრამები, ექსელი ბიზნესისა და მენეჯმენტისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; ○ მცირე ბიზნესის ადმინისტირების სამაგისტრო პროგრამა; ○ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სასწავლო უნივერსიტეტში შეფასების პროცედურა მოქმედებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების საფუძველზე. შეფასების პროცედურა გამჭირვალეა სტუდენტებისათვის და კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია.

- მცირე ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის თითოეული კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და ემსახურება, როგორც სტუდენტის მიღწევების კონტროლს, ასევე სწავლის პროცესში სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის უკუგების უზრუნველყოფას. შეფასების მეთოდები და ფორმები ადაპტირებულია სასწავლო კურსთან და კომპონენტთან.
- პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება და მოიცავს სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასებას. შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ქეისი, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება. შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებულის ქულა და მოითხოვოს შეფასების გადახედვა. ვიზიტისას აღნიშნული პროცედურა სტუდენტების მიერ შეფასდა გამჭვირვალე და მოქნილ მექანიზმად.
- შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში, რომელიც ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აწარმოებს შეფასების შედეგების ანალიზს, ხდება მათი განხილვა და ხარვეზების გამოვლენა და შემდეგ რეაგირება. ამ პროცესში ჩართულია აკადემიური პერსონალი. სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები დეტალურად განიხილება დეპარტამენტების და ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე. საჭიროების შემთხვევაში ხდება ჩასწორება გაუმჯობესების მიზნით, რაც შემდგომ აისახება სტუდენტებთან ურთიერთობისას. სტუდენტებს აწვდიან რეგულარულად ინფორმაციას სხვადასხვა კომუნიკაციის სხვადასვხა მეთოდებით. გარდა ამისა ინფრომაცია განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შინაგანაწესი http://www.zssu.ge/zssu2/node/712
- ბიზნესის ადმინისტრირების მცირე ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- სტუდენტებთა ინტერვიუს შედეგები;
- აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
   პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით: ○ უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა მომსახურების სერვისი, სადაც სტუდენტს შეუძლია მიიღოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად საჭირო ინფორმაცია. ამასთან, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ სამუშაო დღის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუძლია მიიღოს კონსულტაცია, როგორც ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე აკადემიური პერსონალისაგან სასწავლო პროცესის, საგანმანთლებლო პროგრამის და ადმინისტრაციულ საკითხების შესახებ. ○ აკადემიური პერსონალისადმი აუცილებელი მოთხოვნაა სავალდებულო ყოველკვირეული საკონტაქტო დატვირთვის პარალელურად საკონსულტაციო საათების ჩატარება. საკონსულტაციო საათები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში. გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა, თითოელი პროფესორის სილაბუსში მითითებულია სტუდენტისათვის კონსულტაციის მიღების პირობები. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ კმაყოფილები არიან საკონსულტაციო მომსახურებით, რომელსაც იღებენ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში. ○ სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერის განვითარების ცენტრი, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი კონსულტაციები კარიერის დაგეგმვისა და კარიერული გავითარების შესახებ. სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენეთა შემსწავლელ ცენტრში სტუდენტებს ეძლევათ საშუალება კურიკულუმისაგან დამოუკიდებლად შეისწავლონ უცხო ენა. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები არიან ინფორმირებული კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების, სტაჟირებების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ვებ-გვერდი; ○ სტუდენტთა სერვისების და კარიერული მხარდაჭერის დეპარტამენტის დებულება; ○ სასწავლო პროცესის მონიტორინგის ელექტრონული სისტემა; ○ ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით: ○ მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, სტუდენტსა და აკადემიურ პერსონალს შორის ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე, რასაც შემოდგომში ამტკიცებს საფაკულტეტო საბჭო. ○ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია დაეხმაროს მაგისტრანტს ნაშრომის გეგმის შედგენაში, თანამედროვე რელევანტური ლიტერატურის, უახლოესი ინფორმაციის, მონაცემების და კვლევის მეთოდების შერჩევაში, მისცეს მას სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები. ○ მიუხედავად აკადემიური პერსონალის მარალი კვალიფიკაციის, ვიზიტის ფარგლებში ნანახი სამაგისტრო ნაშრომები არ იყო შესაბამისობაში სასწავლო უნივერსიტეტის დებულებასთან. მაგალითად: ○ სამაგისტრო ნაშრომი არარელევანტური იყო მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამასთან; ○ იყო შემთხვევა, როდესაც ხელმძღვანელის არ ქონდა სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული კვლევის გამოცდილება; ○ ზოგიერთ სამაგისტრო ნაშრომში კვლევითი კომპონენტი ცუდად/ან საერთოდ არ ყოფილა წარმოდგენილი; ○ ნაშრომებში არ არის გამოყენებული უახლესი ინფორმაცია, თანამედროვე ლიტერატურა;
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამა; ○ სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება ○ ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ სამაგისტრო ნაშრომები

ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
რეკომენდაციები: ○ **რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის სამაგისტრო დებულებასთან შესაბამისობის მოყვანა, ასევე რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომი რელევანტური იყოს მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამასთან; და ხელმძღვანელს ქონდეს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული კვლევის გამოცდილება;**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
„მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ძირითადად აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი კვალიფიკაციით, ცოდნითა და გამოცდილებით, თუმცა მათი პირადი საქმეების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგიერთი მათგანის კომპეტენცია მცირე ბიზნესის მართვის კუთხით სრულად ვერ აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. უნივერსიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი, რომლის საფუძველზეც ხდება პროგრამის განსახორციელებლად საჭირო აკადემიური/მოწვეული პერსონალის მინიმალური რაოდენობა. მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 1 პროფესორი, 6 ასოცირებლი პროფესორი, 0 ასისტენტ პროფესორი და 5 შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული ლექტორი. მათ შორის აფილირებული 1 პროფესორი და 4 ასოცირებული პროფესორი. აკადემიური და მოწვეული პერსონალი შერჩეულნი არიან კონკურსის გზით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათ შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასა და მდგრადობას. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან შეადგენს 7/5. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან არის 5/16, ხოლო აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან შეადგეს 12/16 -ს. პროგრამას ყავს ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი. მათ აქვთ პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს სათანადო რაოდენობის და კომპეტენციის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების ინფორმირებას მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამის და სასწავლო პროცესის შესახებ, ეხმარებიან მათ სასწავლო პროცესის დროს შექმნილი პრობლემების გადაჭრაში.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა შეადგენს 44-ს, ხოლო მათი სტუდენტების რაოდენობასთან თანაფარდობა 44/16-ს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი. • აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესი; • ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურა; • აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები; • აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებები; • მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებები; • მოწვეული პერსონალის CV; • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუსავების და განვითარების წესი; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შდეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც წარმოდგენილი იქნა ექსპერტებისთვის ვიზიტის დროს და რომლის პრაქტიკაში გამოყენებაც დაადასტურეს როგორც სამეცნიერო განყოფილების ხელმძღვანელმა, ისე პროფესორ-მასწავლებლებმა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი შეთანხმებები ითვალისწინებს აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის მინიმალურ მოთხოვებს. სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო განყოფილება ახდენს აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ანალიზს. სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სასწავლო უნივერსიტეტს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო აქტივობა ბოლო 5 წლის განმავლობაში არ არის მაღალი, რაც ინტერვიუების დროსაც დაადასტურა უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და ხარისხის მართვის სამსახურმა. აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტში დანერგილია აკადემიური და სამეცნიერო აქტივობით გამორჩეული აკადემიური პერსონალის მატერიალური წახალისების პრაქტიკა.

სასწავლო უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. უნივერსიტეტთან ფუნქციონირებს უცხო ენების შემსწავლელი ცენტრი, სადაც პროფესორ-მასწავლებლებს ეძლევათ საშუალება უფასოდ შეისწავლონ უცხო ენები. უნივერსიტეტი ასევე ახდენს პროფესორ-მასწავლებლებისათვის საერთაშორისო კომფერენციებში მონაწილეობის ხარჯების დაფინანსებას. უსდ ჩართულია ,,Erasmus +"-ის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების საერთაშორისო პროექტებში, რომლის ფარგლებშიც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს აკადემიური პერსონალის გადამზადება. თუმცა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნებისთვის სასწავლო უნივერსიტეტი ბიუჯეტით გათვალისწინებული საკუთარი სახსრები მწირია. ინტერვიუს დროს უნივერსიტეტის რექტორმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აღნიშნეს, რომ მზად არიან საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ ბიუჯეტის მოდიფიცირება პროფესორ-მასწვლებლების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერისთვის, რაც პროფესორ-მასწავლებლებმაც დაადასტურეს. კვლევების დაფინანსების საუნივერსიტეტო ბიუჯეტის განსაზღვრასა და კვლევების დაფინანსებაზე ზრუნვაზე, ასევე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებში კვალიფიკაციის ამაღლებაზე 2018 წლის 2 თებერვალს დამტკიცებული უსდ-ს სამწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმაც ამახვილებს ყურადღებას, თუმცა გეგმა ზოგადია და მიზნის მისაღწევად კონკრეტულ ღონისძიებებს არ ითვალისწინებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • პერსონალის პირადი საქმეები. • ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. • ინტერვიუ რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანეთან. • სამეცნიერო-კვლევითი სქმიანობის შეფასების წესი და ფორმები. • სასწავლო უნივერსიტეტის 2018 წლის 2 თებერვალს დამტკიცებული სამწლიანი და 2018 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. • სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტი
რეკომენდაციები: • **რეკომენდირებულია გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, დაათვალიერეს აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული კლასები და საკონფერენციო დარბაზი. დათვალირების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო აუდიტორიები არის აღჭურვილი კომპიუტერით და პროექტორით. აკადემიურ პერსონალს აქვს შესაძლებლობა საჭიროებისამებრ გამოიყენოს თავისუფალ გადაადგილებად პროექტორები, ასევე თითოეულ ლექტორს აქვს გადაცემული ლეპტოპიც. ბიბლიოთეკის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ იგი აღჭურვილია სასწავლო საგნების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურით, თუმცა სასურველია ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით გაიზრდოს ეგზემპლარების რაოდენობა, ასევე მოხდეს წიგნადი ფონდის რეგულარული განახლება. ექსპერტებმა დაათვალერეს უცხოური ელექტრონული ინტერნეტ-რესურსები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ უცხოენოვანი წიგნების, სტატიების და კვლევების მოძიება და გაცნობა. თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ნაკლებად ინფორმირებულნი არიან ამ შესაძლებლობის შესახებ და ონლაინ სასწავლო ინტერნეტ რესურსები მათში პოპულარობით არ სარგებლობს და შესაბამისად ნაკლებად იყენებენ სწავლის პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიბლიოთეკის ინვენტარის დამადასტურებელი დოკუმენტი; • ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების დამადასტურებელი დოკუმენტები; • ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი: • 2013-2018 წლებში სასწავლო სახელმძღვანელოების შესყიდვის ხელშეკრულებები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • **რეკომენდირებულია სავალდებულო გამოყენებული ლიტერატურის განახლება**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიუჯეტის შედგენის, დამტკიცების, შემოსავლების წყაროების განსაზღვრისა და ხარჯვის განაწილების წესი. ექსპერტების შეფასებით 2018 წლის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლები მიღწევადია და ხარჯები შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიუჯეტის შედგენის/დამტკიცების, შემოსავლების წყაროების განსაზღვრისა და ხარჯვის განაწილების წესი. • უსდ-ს საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი. • დაფინანსების წყაროები. • ინტერვიუ უსდ-ს რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ეფუძნება პრინციპს: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სწავლის შედეგების მიღწევადობის და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ატარებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებს და გამოკითხვის შედეგების გაანალიზების საფუძველზე ახდენს შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებასა და რექტორისათვის წარდგენა.

მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეიქმნა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მოდიფიცირების შედეგად და ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული პროგრამით დაინტრესებული ყველა მხარე. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის და პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების და კურსდამთავრებულების ინტერვიუების შედეგად ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც გამოიყენება მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამის გასაუმჯობესებლად და სწავლა/სწავლების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ ძველი პროგრამის მოდიფიცირება და აქცენტების მცირე ბიზნესზე გადატანა მოხდა ბაზრის მოთხოვნის საფუძველზე. პროგრამაში შემოტანილი იქნა მცირე ბიზნესზე ორიენტირებული სასწავლო კურსები: მცირე ბიზნესის მენეჯმენტი, მარკეტინგი მცირე ბიზნესში და რეკლამა მცირე ბიზნესში. თუმცა, როგორც 2.2 კომპონენტში ავღნიშნეთ აუცილებელია გაძლიერდეს სასწავლო კურსების ფარგლებში მცირე ბიზნესი მართვის თავისებურება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სტუდენტთა/დამსაქმებელთა/კურსდამთავრებულთა/პერსონალის და შრომის ბაზრის კვლევები. • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის 2017 წლის 23 სექტემბრის № 01-10/510 სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი კვლევის შედეგების ანალიზი, რეკომენდაციები. • სასწავლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამა ახალი შექმნილია და პირველად ხდება მისი აკრედიტაცია. თუმცა მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის (რომლის საფუძველზეც შეიქმნა მცირე ბიზნესის მართვის პროგრამაც) 2012 წელს ჩატარებული აკრედიტაციის დროს გამოთქმული რეკომენდაციები და რჩევები პრაქტიკულად მთლიანად იქნა გათვალისწინებული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ. წარმოდგენილი დოკუმეტების შესწავლის და ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ უნივერსიტეტი ყურადღებით ეკიდება პროგრამის გარე ხარისხის შეფასების/აკრედიტაციის ფარგლეში მიღებულ რეკომენდაციებსა და გამოთქმულ რჩევებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება - 8.11. 2012 წ. №625 • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელეთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
პროგრამების მონიტორინგის და შეფასების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს დანერგილი აქვს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვისა და მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის პრაქტიკა. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება რეკომენდაციების შემუშავება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული პრაქტიკის არსებობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დადასტურდა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებითაც. რადგან მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამა ახლად შექმნილია, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვები პროგრამის შესახებ არ ყოფილა წარმოდგენილი. ექსპერტები გაეცნენ ბაზრის კვლევის შედეგების ანალიზს. სწორედ ამ კვლევების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების გაზიარებით მოხდა ძველი პროგრამის მოდიფიცირება და ახალ პროგრამაში აქცენტების მცირე ბიზნესზე გადატანა. თუმცა პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან მისი თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის მიზნით, არ მომხდარა. უნდა აღინიშნოს ისც, რომ სტუდენტებიც და დამსაქმებლებიც ნაკლებად იცნობენ პროგრამას მთლიანობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ ჩატარებული მონიტორინგის მასალები, შედეგების ანალიზი, რეკომენდაციები. • ინტერვიუები პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან, კურს დამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: • **რეკომენდირებულია პროგრამის მუდმივად დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით გაძლიერდეს დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში.**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: **შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მცირე ბიზნესის მართვა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

დავით სიხარულიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

თეა კასრაძე

დავით ქარცივაძე

ნიკა კიკნაძე